INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

9 აპრილის ტრაგედიაზე აშშ-ის საარქივო ფონდებში დაცული საიდუმლო დოკუმენტები

2016 წლის 9 აპრილს გადის 27 წელი 1989 წლის აპრილის ტრაგედიიდან, როდესაც გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს.

სპეციალურად ამ დღისთვის, IDFI პირველად აქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) **საარქივო ფონდებში დაცულ საიდუმლო დოკუმენტებს**. დოკუმენტები მოიცავს შეერთებული შტატების შესაბამისი სამსახურების მიერ **(დაზვერვის დირექტორატი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, მოსკოვში აშშ-ის საელჩო)** 1989 წლის აპრილის თვეში საქართველოში მომხდარი მოვლენების შესახებ მომზადებულ ანალიტიკურ ცნობებს.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პარტნიორმა ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, **ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებულმა ეროვნული უსაფრთხოების არქივმა**, ინსტიტუტის თხოვნით გამოითხოვა დოკუმენტები, რომლებიც ეხება საქართველოში 1989 წლის 9 აპრილს განვითარებულ მოვლენებს და რომლებიც წლების განმავლობაში გრიფით **საიდუმლო** ინახებოდა შეერთებული შტატების სახელმწიფო არქივებში.

დოკუმენტები, ეხება არამარტო 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს, არამედ იმ პოლიტიკური დაძაბულობას, რომლის პიკიც იყო 9 აპრილის ტრაგედია. ეს არის ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როდესაც ქვეყნდება შეერთებული შტატების სახელმწიფო არქივებში დაცული და გასაიდუმლოებული დოკუმენტები საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ.

დოკუმენტებში განხილულია 1989 წლის 9 აპრილამდე განვითარებული მოვლენები, რომლებმაც სიტუაციის ესკალაცია გამოიწვიეს:

- 1989 წლის 6 აპრილი - **„პოლიტიკური არეულობა საქართველოში აფხაზეთთან დაკავშირებით“**
- 1989 წლის 8 აპრილი - **„საქართველოს რესპუბლიკაში ეთნიკური კონფლიქტი იწყება“**

ასევე, 9 აპრილის ტრაგედიისა და მისი თანმხლები მოვლენების ანალიზი:

- 1989 წლის 7 აპრილი - **"აფხაზეთის პირველი მდივანი გადაყენებულია; თბილისში დემონსტრაციები გრძელდება"**
- 1989 წლის 10 აპრილი - **„საპროტესტო აქციები ძალადობაში გადაიზარდა“**
- 1989 წლის 11 აპრილი - **„საქართველოში სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია“**
- 1989 წლის 12 აპრილი - **„საქართველოში დაძაბული სიმშვიდეა“**
- 1989 წლის 15 აპრილი - **„საქართველოს კომპარტიის ახალი მდივანი“**
- 1989 წლის 26 აპრილი - **„პროტესტის კონტროლისთვის თბილისში მომწამლავი ნივთიერებები გამოიყენეს“**

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დოკუმენტია ლენინგრადში შეერთებული შტატების საკონსულოს ოფიცრის **1989 წლის 27 მაისს** თბილისში ვიზიტის ამსახველი მოხსენება, რომელშიც გადმოცემულია **საკონსულოს წარმომადგენლის** და ეროვნული მოძრაობის ლიდერ **ზვიად გამსახურდიას** შორის გამართული საუბრის შინაარსი:

- **1989 წლის 27 მაისი - "საუბარი ქართველ დისიდენტთან“**

ისტორიულ დოკუმენტში კარგად არის ასახული ეროვნული მოძრაობის ლიდერის დამოკიდებულება 9 აპრილის დარბევის, საქართველოს დამოუკიდებლობის პერსპექტივებისა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და სპეცსამსახურები ინტენსიურად აკვირდებოდნენ საბჭოთა საქართველოში დაწყებულ ისტორიულ ძვრებს, თუმცა არ ჰქონდათ ადგილზე მიღებული ფაქტობრივი ინფორმაცია და მეტწილად ეყრდნობოდნენ საბჭოთა და საერთაშორისო პრესის მიერ წარმოდგენილ ცნობებს.

1989 წლის 6 აპრილი - „პოლიტიკური არეულობა საქართველოში აფხაზეთთან დაკავშირებით“

აფხაზეთში დაწყებული დაძაბულობის შესახებ, 1989 წლის 6 აპრილს სახელმწიფო დეპარტამენტში სასწრაფო მოხსენება გაიგზავნა მოსკოვში შეერთებული შტატების საელჩოდან. დოკუმენტი, რომელიც დასათაურებულია როგორც **„პოლიტიკური არეულობა საქართველოში აფხაზეთთან დაკავშირებით**“, შეეხება თბილისსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს. დოკუმენტის ავტორი ქართულ დისიდენტურ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ 1989 წლის 15 მარტს აფხაზეთის კომპარტიის თავმჯდომარემ ბორის ადლეიბამ ხელი მოაწერა პეტიციას საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს სახელზე, რომელიც მოითხოვდა აფხაზეთისთვის საკავშირო რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას ან მოსკოვის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადასვლას. ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ქართველი

აქტივისტის აზრით ადლეიბას ქმედებებს ზურგს უმაგრებდა მოსკოვი, რომელიც ცდილობდა ძირი გამოეთხარა საქართველოში არსებული ეროვნულ მოძრაობისთვის. აქტივისტები თვლიდნენ, რომ ადლეიბა ამ ნაბიჯს მოსკოვის მხარდაჭერის გარეშე არ გადადგამდა.

დოკუმენტის ავტორი საუბრობს ქართველ აქტივისტებზეც - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წყაროზე დაყრდნობით, 25 მარტს ათი ათასობით ქართველი საპროტესტო მსვლელობით გაემართა მთავრობის სახლისკენ, რათა გაეპროტესტებინა, როგორც ისინი უწოდებდნენ - მოსკოვის მიერ მხარდაჭერილი აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის კამპანია. ქართველმა აქტივისტებმა, მათ შორის მერაბ კოსტავამ, ზვიად გამსახურდიამ და გიორგი ჭანტურიამ, 31 მარტს სოხუმში მოაწყვეს პრო-ქართული დემონსტრაციები.

დოკუმენტის მიხედვით, აფხაზურმა ჯგუფებმა ლესელიძეში ცეცხლი გაუხსნეს პრო-ქართული დემონსტრაციის მონაწილეებით სავსე რამდენიმე ავტობუსს. ავტორი წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ რამდენიმე ადამიანი დაიჭრა, სავარაუდოდ, საკმაოდ მძიმედ.

მოხსენების მიხედვით, 4 აპრილს ათი ათასობით მოქალაქე შეიკრიბა თბილისში მთავრობის სახლთან. 5 აპრილისთვის მათმა რაოდენობამ 100,000-ს მიაღწია. დაახლოებით 100-მა ადამიანმა, მათ შორის გიორგი ჭანტურიამ და ახალშექმნილი ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ირაკლი წერეთელმა, დაიწყეს შიმშილობა. დემონსტრანტები მოითხოვდნენ:

- ადლეიბას გადადგომას

- ოზგანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას

- მოსკოვის ანტი-ქართული პოლიტიკის დასრულებას

ავტორი იუწყება, რომ 5 აპრილს თბილისი პარალიზებული იყო. მის წყაროზე დაყრდნობით, უნივერსიტეტები, სკოლების უმრავლესობა და ინსტიტუტები დაიხურა. თბილისის საავიაციო ქარხნისა და ელექტროსადგურის მუშები გაიფიცნენ. 5 აპრილის მდგომარეობით, ქართულ მედიას არ გაუშუქებია მიმდინარე აქციები. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოხუმის სატრანსპორტო სამსახურის თანამშრომლებიც გაიფიცნენ 2 აპრილს ცეცხლის გახსნის ინციდენტის გასაპროტესტებლად.

დოკუმენტში მოყვანილია ერთი **საინტერესო ფაქტიც**, კერძოდ, აკადემიკოსმა **სახაროვმა** ნატოს ელჩს 2 აპრილს განუცხადა, რომ, სანდო ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, თბილისიდან აფხაზეთში გაიგზავნა ჯარები ეთნიკური დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. სახაროვმა დასძინა, რომ ანტი-ქართული დემონსტრაცია გაიმართა სოხუმში 31 მარტს და **პარალელი გაავლო აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღს** შორის.

მოხსენების ავტორი ადრესატებს მოუწოდებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეთნიკური დაპირისპირების არსებობა ეჭვგარეშეა, ისინი სრულად არ უნდა ენდონ მოწოდებულ ინფორმაციას, რადგან **ინფორმაციის წყაროები ხშირ შემთხვევაში მიდრეკილნი არიან ფაქტების გაზვიადებისკენ**.

1989 წლის 7 აპრილი - "აფხაზეთის პირველი მდივანი გადაყენებულია; თბილისში დემონსტრაციები გრძელდება"

1989 წლის 7 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს ანალიტიკოსები ამზადებენ კიდევ ერთ მოხსენებას, სახელწოდებით: "**აფხაზეთის პირველი მდივანი გადაყენებულია; თბილისში დემონსტრაციები გრძელდება**".

გაზეთ „პრავდას“ მასალებზე დაყრდნობით, ანალიზის ავტორი წერს, რომ 1989 წლის 6 აპრილს, საოლქო კომიტეტმა აფხაზეთის პირველი მდივანი ადლეიბა, აფხაზეთისთვის საკავშირო რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების მოთხოვნის შემდეგ, თანამდებობიდან მოხსნა. მის შემცვლელად დაინიშნა ვ.ფ. ქიშბა, გარემოს დაცვისა და ტყის მართვის კომიტეტის პირველი თავმჯდომარის მოადგილე. მოხსენების ავტორს მოყავს აფხაზი მწერლის განცხადება ერთ-ერთ დასავლელ კორესპონდენტთან, სადაც ის აღნიშნავს, რომ პატიაშვილმა ადლეიბას გათავისუფლების გადაწყვეტილება **ადლეიბას მხრიდან აფხაზეთის გამოყოფის მხარდაჭერის გამო მიიღო.** ავტორი, იგივე წყაროზე დაყრდნობით, ამბობს, რომ 7 აპრილს სოხუმში 100-მდე აფხაზმა მოაწყო აქცია ადლეიბას გადაყენების გასაპროტესტებლად.

ანგარიშის ბოლო ნაწილში **ავტორი საუბრობს განხეთქილებაზე დემონსტრაციის ქართველ ლიდერებს შორის.** დაპირისპირება გამოიწვია გასაპროტესტებელ საკითხზე შეუთანხმებლობამ. კერძოდ, რაციონალურად მოაზროვნე ილია ჭავჭავაძის საზოგადოების და რუსთაველის საზოგადოების პოზიციით, კონცენტრირება უნდა მომხდარიყო აფხაზეთის საკითხზე, ხოლო რადიკალი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ, რომ მთელი ყურადღება უნდა გადატანილიყო საქართველოს სსრკ-დან დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე.

1989 წლის 8 აპრილი - „საქართველოს რესპუბლიკაში ეთნიკური კონფლიქტი იწყება“

1989 წლის 8 აპრილს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საიდუმლო სამსახურების სახელზე იგზავნება დაშიფრული ცნობა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, სახელწოდებით: **საქართველოს რესპუბლიკაში ეთნიკური კონფლიქტი იწყება.**

დოკუმენტში, **მედიაზე დაყრდნობით,** აღნიშნულია, რომ თბილისში შემოვიდა ჯარის დამატებითი ნაწილები, რათა აკონტროლონ დაახლოებით 100,000 ადამიანისგან შემდგარი საპროტესტო აქცია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვს.

დოკუმენტის ავტორი კომენტარის სახით აღნიშნავს, რომ **ქართველი ნაციონალისტები** *(აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის საქართველოს შესახებ არსებულ ცნობებში ეროვნულ მოძრაობაში შემავალ პარტიებს სწორედ ასეთი ტერმინით მოიხსენიებენ სახელმწიფო დეპარტამენტის ანალიტიკოსები)* შეაგულიანა სხვა კავკასიური ერების მიდგომამ. დამოუკიდებლობის მოთხოვნა მცირე ჯგუფებში დაიწყო, მაგრამ მათი რიცხვი, სავარაუდოდ, მალე გაიზრდება.

შესაძლოა, ხელისუფლებამ მათი დაკავება დაიწყოს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს იმის საფრთხე, რომ ძალადობის შედეგად აქაც იგივე **განმეორდება**, რაც **სომხეთსა და აზერბაიჯანში**.

როგორც ზემოთმოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს, აშშ-ში აცნობიერებდნენ მოსალოდნელი კონფლიქტის დაწყების საფრთხეს და პარალელს ავლებდნენ მთიანი ყარაბაღის გარშემო დაწყებულ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტთან.

1989 წლის 10 აპრილი - „საპროტესტო აქციები ძალადობაში გადაიზარდა“

წყაროს მიხედვით, 16 სამოქალაქო პირი დაიღუპა და დაახლოებით 200 ადამიანი დაშავდა მას შემდეგ, რაც ჯარისკაცებმა იერიში მიიტანეს 8,000 მომიტინგეზე. მოხსენების შემდგენლის აზრით, ეს დაპირისპირება გამოირჩევა იმით, რომ დემონსტრანტებსა და ჯარს შორის შეტაკების შედეგად ერთ დღეში დაშავებულთა რაოდენობა ყველაზე მაღალია საბჭოთა კავშირის მასშტაბით ბოლო ორი წლის მანძილზე.

ანალიტიკური მოხსენების ავტორი კომენტარის სახით აღნიშნავს, რომ მიუხედავად სამხედრო ძალის გამოყენებისა, ეს ტრაგედია დიდ გავლენას იქონიებს ქართველთა ნაციონალისტურ მისწრაფებებზე. ზეწოლა უფრო რადიკალურს გახდის ეროვნულ მოძრაობებს, რომლებიც სწრაფად იკრებენ მხარდამჭერებს გარშემო. სავარაუდოდ, საქართველოს ხელმძღვანელობა, განვითარებული მოვლენების ფონზე, კიდევ ერთხელ დაადასტურებს თავის პოზიციას აფხაზეთის გამოყოფის წინააღმდეგ.'

1989 წლის 11 აპრილი - „საქართველოში სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია"

უკვე 11 აპრილს მზადდება კიდევ ერთი ანალიტიკური მოხსენება საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, სახელწოდებით: **საქართველოში სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია.** ავტორის აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტანკებმა და შეიარაღებულმა პირებმა თბილისში სიმშვიდე დაამყარეს, რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქში შიგადაშიგ დემონსტრაციები მაინც გრძელდება.

ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დემონსტრაცია გაეროსგან მოითხოვდა საქართველოში არსებული სიტუაციის შესწავლას. დასავლურ პრესაზე დაყრდნობით, მოხდა რამდენიმე გასროლაც, თუმცა დაზარალებულთა შესახებ სანდო ინფორმაცია არ ვრცელდება. დოკუმენტის მიხედვით, ჯარისკაცებმა მას შემდეგ გახსნეს ცეცხლი, რაც მომიტინგეებმა ტანკებს მოლოტოვის კოქტეილები დაუშინეს. ჯარის ამ ქმედებას 40 ადამიანის დაჭრა მოჰყვა. საბჭოთა მედიაზე დაყრდნობით, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტუდენტური საპროტესტო აქციები გაიმართა ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში, ხოლო უცხოელ ტურისტებსა და ჟურნალისტებს არ უშვებენ თბილისში.

ავტორი ვარაუდობს, რომ ოფიციალურად გამოცხადებული 18-ის ნაცვლად, 9 აპრილის მსხვერპლთა რაოდენობა გაცილებით დიდია:

„დასავლელი ჟურნალისტები იუწყებიან, რომ სულ დაითვალეს 22 გარდაცვლილი, ხოლო თბილისში გამოკრულ სიაში 30 ადამიანის ვინაობა წერია. სამი ძირითადი ნაციონალისტური დაჯგუფებიდან ორის ლიდერი დაპატიმრებულია, ბევრი საწარმო გაფიცულია. 9 აპრილის ტრაგედიამდე ნაციონალისტებმა განაცხადეს და დაადასტურეს, რომ საპროტესტო აქციები გაგრძელდებოდა პარასკევამდე, რათა სიმბოლურად დამთხვეოდა 1978 წლის დემონსტრაციების თარიღს, რომელიც ენის საკითხთან დაკავშირებით გაიმართა საქართველოში.“

ავტორის აზრით, სამხედრო ძალის გამოყენება და **შევარდნაძისა** და **რაზუმოვსკის** ვიზიტი თბილისში იმის მანიშნებელია, რომ საბჭოთა ლიდერებმა განიზრახეს, სიტუაცია ისევე არ გამწვავდეს, როგორც ეს სომხეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში მოხდა. სავარაუდოდ, მოსკოვს ქართველი პარტიული ლიდერების მხარდაჭერა აქვს, რადგან ისინი ისეთი ნაციონალისტური შეხედულებებით არ გამოირჩევიან, როგორც სომხები. დოკუმენტის მიხედვით, მოსკოვის ქმედებები საქართველოში ერთგვარი გაკვეთილია ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და უკრაინისთვის, რომ მათთვის თვალსაჩინო გახდეს, რამდენად გამკაცრდა ამ კუთხით მოსკოვის პოლიტიკა. ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის მხრიდან გამოყოფის მოთხოვნამ შესაძლოა ხელი შეუწყოს დემონსტრაციების გაგრძელებას.

1989 წლის 12 აპრილი - „საქართველოში დაძაბული სიმშვიდეა“

დოკუმენტი იუწყება, რომ საქართველოში სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ ჯერ კიდევ იგრძნობა დაძაბულობა.

„საბჭოთა მედიის ცნობით, ოფიციალური გლოვის დღეების განმავლობაში თბილისში განსაკუთრებულ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.“

საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ პარტიის შეხვედრაზე 9 აპრილს „დიდი შეცდომა“ უწოდა და მიანიშნა, რომ ძალადობაზე პასუხისმგებლობა ჯარებს ეკისრებათ. ჯუმბერ პატიაშვილმა ტელევიზიით გამოსვლისას აქციის დარბევაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო, თუმცა დასძინა, რომ ადგილობრივი ლიდერები **დაარწმუნეს**, რომ ჯარები **ძალადობრივ ქმედებებს არ გამოიყენებდნენ** დემონსტრანტების წინააღმდეგ.

> *„ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ 9 აპრილის ძალადობა წარმოაჩინონ ისე, თითქოს მოვლენების განვითარება მათ კონტროლს მიღმა იყო. გრძელდება კომენდანტის საათის დამრღვევთა დაპატიმრება, რითაც ხელისუფლება ცდილობს აღადგინოს კონტროლი ქალაქზე.“*

1989 წლის 15 აპრილი - „საქართველოს კომპარტიის ახალი მდივანი“

1989 წლის 15 აპრილს იგზავნება კიდევ ერთი ანალიტიკური მოხსენება, სახელწოდებით: **საქართველოს კომპარტიის ახალი მდივანი**. დოკუმენტში საუბარია პარტიული ხელმძღვანელების ცვლილებაზე 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ცეკას პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის გადაყენებით მოსკოვი მეტნაკლებად მოიგებს 9 აპრილის ტრაგედიით აღშფოთებული ხალხის გულს, თუმცა, ამავე დროს, მის ნაცვლად ადგილობრივი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსის გივი გუმბარიძის დანიშვნით გამოიწვევს ნაციონალისტების უკმაყოფილებას.

ავტორის აზრით, საქართველოში ძლიერი ანტი-მილიტარისტული განწყობა იყო. მაგალითად, მოხდა ორი ადგილობრივი გაზეთის დასაბეჭდად გამზადებული

ნომრების კონფისკაცია , რადგან სტატიებში ნახსენები იყო, რომ ჯარისკაცებმა მომიტინგეები სამხედრო ნიჩბებით სცემეს. სტატიების საპასუხოდ, სამხედრო გაზეთმა *„კრასნაია ზვეზდამ“*გამოაქვეყნა ძალიან მკაცრი წერილი, სადაც უარყოფილი იყო მომიტინგეთა ცემის ფაქტები. ასევე, ავტორი ხაზს უსვამს იმასაც, რომ დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად გამართულ პანაშვიდებს 2,000-მდე მგლოვიარე ადამიანი დაესწრო.

1989 წლის 26 აპრილი - „პროტესტის კონტროლისთვის თბილისში მომწამლავი ნივთიერებები გამოიყენეს“

ცალკე მოხსენება გაიგზავნა ვაშინგტონში თბილისში გამოყენებული მომწამლავი საშუალებების შესახებ - **1989 წლის 26 აპრილს.** დოკუმენტში საუბარია 1989 წლის 9 აპრილის დემონსტრაციის დასაშლელად გამოყენებულ საშუალებებზე და აღნიშნულია, რომ მსხვერპლთა სიმპტომების მიხედვით, სავარაუდოდ, ჯარისკაცებმა გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და პირღებინების გამომწვევი მომწამლავი ნივთიერებები. კომენტარის ველში აღნიშნულია, რომ პირღებინების გამომწვევი მომწამლავი ნივთიერებების მაღალი კონცენტრაციით გამოყენება იწვევს ფილტვების დაზიანებას, ციების მაგვარ სიმპტომებს, ძლიერ თავის ტკივილს, რომელსაც ახლავს ტკივილი მკერდის არეში, გართულებულ სუნთქვას და ხანგრძლივ გულისრევას. ასევე, მსხვერპლებს შესაძლოა აღენიშნებოდეთ შემდეგი სიმპტომები: არეული სიარული, თავბრუსხვევა, კუნთების მოდუნება და კანკალი. ამგვარი მოწამვლისგან განკურნებისთვის რამდენიმე კვირაა საჭირო.

დოკუმენტში საუბარია იმაზე, თუ **როგორ გააშუქა ეს საკითხი პრესამ,** კერძოდ კი **საბჭოთა თავდაცვის სამინისტროს გაზეთმა,** სადაც წერია, რომ მომიტინგეთა დაშლის მიზნით გამოყენებულ იქნა მხოლოდ ცრემლსადენი გაზი და არ იქნა ნახსენები პირღებინების გამომწვევი მომწამლავი ნივთიერებების გამოყენება.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და სპეცსამსახურები ინტენსიურად აკვირდებოდნენ საბჭოთა საქართველოში დაწყებულ ისტორიულ ძვრებს, თუმცა არ ჰქონდათ ადგილზე მიღებული ფაქტობრივი ინფორმაცია და მეტწილად ეყრდნობოდნენ საბჭოთა და საერთაშორისო პრესის მიერ წარმოდგენილ ცნობებს.

1989 წლის 27 მაისი - "საუბარი ქართველ დისიდენტთან“

ჩვენს ხელთ არსებობს ერთი ძალიან საინტერესო დოკუმენტი, რომელიც კარგად მეტყველებს იმ დაინტერესებაზე, რაც არსებობდა საქართველოს მიმართ შეერთებული შტატებში. ეს არის ლენინგრადში შეერთებული შტატების საკონსულოს ოფიცრის **1989 წლის 27 მაისს** თბილისში ვიზიტის ამსახველი მოხსენება. დოკუმენტი, რომელიც ფინეთში შეერთებული შტატების საელჩომ გააგზავნა სახელმწიფო დეპარტამენტში, დასათაურებულია როგორც: **"საუბარი ქართველ დისიდენტთან."**

დოკუმენტში გადმოცემულია საკონსულოს წარმომადგენლის და ეროვნული მოძრაობის ლიდერ ზვიად გამსახურდიას შორის გამართული საუბრის შინაარსი.

საუბრის ჩანაწერის მიხედვით, გამსახურდიამ ღიად გააკრიტიკა იმ დროინდელი საბჭოთა მთავრობა, მათ შორის პრეზიდენტი გორბაჩოვი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, და ორივე მათგანი მოიხსენია, როგორც **საქართველოს მტრები**. მან საუბარი დაიწყო იმით, რომ აღნიშნა:

“ქართველებს საფრთხე ემუქრებათ ამ ბოროტების იმპერიისგან, რომელიც ცდილობს მისი გენოციდი მოაწყოს”.

გამსახურდია ირწმუნებოდა, რომ მთელი თბილისი მოწამლული იყო ქიმიური ნივთიერებით, რომელიც 9 აპრილის აქციის დასაშლელად გამოიყენეს. მისი თქმით, ეს საკითხები საქართველოს სამედიცინო საგამოძიებო კომისიისა და გაეროს ყურადღების ქვეშ მოექცა.

9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით, გამსახურდია ირწმუნებოდა, რომ 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა სამხედროების მიერ ხალხის დიდი მასის სამხედრო ნიჩბებით დარბევის დროს. **450-ზე მეტი ჰოსპიტალიზებულ იქნა**, მათგან 200 კი 27 მაისსაც საავადმყოფოში იმყოფებოდა გაზით მოწამლვისა და სამხედრო ნიჩბებით მიყენებული ზიანისა და ჭრილობების გამო. გამსახურდიას თქმით, ცნობილი 21 მსხვერპლის გარდა იგი ვერ დაასახელებდა სხვების ვინაობას, რადგან ხელისუფლებამ დააშინა მსხვერპლთა მშობლები, რათა ამ გზით დაეფარა სამხედრო დანაშაულის მასშტაბები.

გამსახურდიამ განაცხადა, რომ საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა იყო გაეროს ექსპერტების მიერ 9 აპრილის მოვლენების შესწავლა. ის ასევე იმედოვნებდა, რომ აშშ-ს კონგრესი დაინტერესდებოდა და გამოაგზავნიდა საგამოძიებო კომისიას თბილისში. მან დასძინა, რომ 9 აპრილს დაშავებულებმა სამედიცინო დახმარება მიიღეს წითელი ჯვრისგან, ასევე დასავლელი და ამერიკელი ექიმებისგან. ამასთან, **დისიდენტი იმედოვნებდა, რომ აშშ-ს კონგრესი საქართველოს სსრკ-ს მიერ უკანონოდ ანექსირებულად აღიარებდა.**

გამსახურდიას ცნობით, ის იყო ერთ-ერთი იმ ექვსი ნაციონალისტი ლიდერიდან, რომელიც დააკავეს 9 აპრილს; ოთხი მათგანი 19 მაისს გაათავისუფლეს. მან თავისი გათავისუფლება მიაწერა სრულიად საქართველოს მოსახლეობის მუქარას - მოეწყო დიდი გაფიცვა 19 მაისს. 9 აპრილს დაკავებულებიდან ორნი ჯერ კიდევ პატიმრობაში

იმყოფებოდნენ დასავლეთ საქართველოში, რაც გამსახურდიამ იმით ახსნა, რომ ისინი არ იყვნენ პოპულარულები.

დოკუმენტის მიხედვით, გამსახურდიამ გათავისუფლებისთანავე განაგრძო პოლიტიკური აქტივობა, როგორც ჰელსინკის ჯგუფის ლიდერმა (დაახლოებით 100 წევრით), ილიას საზოგადოების მმართველი საბჭოს წევრმა და საქართველოს სახალხო ფრონტის დამაარსებელმა.

გამსახურდიას განცხადებით, საქართველოს სახალხო ფრონტი შედგებოდა ილიას საზოგადოებისა და ჰელსინკის ჯგუფის წევრებისგან და მის საქმიანობაში მონაწილეობს არ იღებდნენ უფრო რაციონალური ჯგუფები=. „ამჟამად სახალხო ფრონტში 13,000 წევრია“, - განაცხადა გამსახურდიამ და დასძინა, რომ მხოლოდ რამდენიმე კომუნისტური პარტიის წევრი შედიოდა მის შემადგენლობაში და რომ მათ უკვე შემუშავებული ჰქონდათ საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის გეგმა.

სხვა მნიშვნელოვან ჯგუფებს შორის, გამსახურდიამ გამოყო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია (ედპ), ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ილიას საზოგადოება და საზოგადოება ეროვნული სამართლიანობისთვის. გარდა ამისა, გამსახურდიამ აღნიშნა, რომ არსებობს 40 სხვადასხვა ჯგუფი, მათ შორის 9 აპრილის საზოგადოება, რომელიც შექმნეს არა ინტელიგენციის წამომადგენლებმა, არამედ, *“უბრალო ადამიანებმა”* და ისინი საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ.

დოკუმენტის მიხედვით, ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ და 9 აპრილის ტრაგედიამ შესამჩნევი გავლენა მოახდინა **საბჭოთა შეარაღებული ძალების პოპულარობაზე** მოსახლეობაში, რომლებიც ქართველების მიერ აღიქმებოდნენ **უკანონო ოკუპანტებად და მკვლელებად.**

გამსახურდიამ განაცხადა, რომ ქართველებისთვის ძალიან სახიფათოა რუსულ ჯარში მსახურება, სადაც ქართველ სამხედროებს აწამებდნენ და კლავდნენ. ის ირწმუნებოდა, რომ ანტი-მილიტარისტული მოძრაობა სრულიად საქართველოს მოიცავდა, რადგან 9 აპრილს შეწირული ადამიანების ნათესავები და მეგობრები ჯერ კიდევ მძაფრად განიცდიდნენ დანაკარგს.

დოკუმენტის ავტორის აზრით, შიდა-ეთნიკურ დაპირისპირებაზე საუბრისას, გამსახურდიამ საკმაოდ **არატოლერანტული მოსაზრებები გამოთქვა ეთნიკური უმცირესობების მიმართ** და აღნიშნა, რომ ყარაბაღის მსგავსი სიტუაციის განვითარება აფხაზეთსა და სამხერთ ოსეთში სავსებით შესაძლებელი იყო. მან აფხაზებს კავკასიის ჯაშუშები და კორუმპირებული ხალხი უწოდა, რომლებიც იბრძვიან საკუთარი თავის რუსიფიკაციისთვის. ის ირწმუნებოდა, რომ აფხაზური ეროვნული მოძრაობა პროვოცირებული იყო მოსკოვის, ხოლო იმართებოდა თურქი მუსლიმების მიერ, რომლებიც საქართველოში შიდა ფრონტს ქმნიდნენ.

მეორე შიდა ფრონტი, ქართველი ნაციონალისტების მიხედვით, იყო სამხერთ ოსეთში. გამსახურდია ირწმუნებოდა, რომ მიიღო ცნობები ოსეთში ქართველების ცემის ფაქტების შესახებ. მიუხედავად დაძაბული სიტუაციებისა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ურთიერთობები აჭარლებთან გაუმჯობესდა. ბევრმა ახალგაზრდა აჭარელმა მიიღო ქრისტიანობა, თუმცა უფროსი თაობა მუსლიმურ რწმენაზე დარჩა. 1989 წლის მაისში აჭარაში მომხდარი მეწყერის შემდეგ ათასობით აჭარელმა მუსლიმმა მიიღო ქრისტიანობა. **დისიდენტის აზრით,** ეს მასობრივი გაქრისტიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მეწყერისას დაზიანდა ყველა შენობა, გარდა ქრისტიანული ეკლესიისა.

მიუხედავად საბჭოთა უწყებებისა და თანამდებობის პირების მიმართ უნდობლობისა, გამსახურდიამ აღიარა, რომ, მისი აზრით, ქართული მედია საკმაოდ ობიექტური გახდა 9 აპრილის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ პრესას არ გამოუცხადებია 26 მაისის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნისას გამოსული ხალხის სავარაუდო

რაოდენობა, საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამ დღის შესახებ სტატიები და ფოტოები როგორც ქართულ, ისე რუსულენოვან პრესაში.

გამსახურდიამ ასევე საკმაოდ დადებითად შეაფასა საქართველოს უმაღლესი საბჭოს ფარგლებში შექმნილი საგამოძიებო კომისიის მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ, მისი ტქმით, ამ კომისიამ ვერ შეძლო დაეზუსტებინა სხვაობა დაღუპულთა ოფიციალურ და რეალურ რაოდენობებს შორის. ქიმიურ ნივთიერებებზე მომუშავე ქვე-კომისიამ დაადგინა, რომ საბჭოთა არმიამ გამოიყენა სწორედ იმ ტიპის მომწამლავი ნივთიერება, რომლის გამოყენებაც ვიეტნამში აშშ-ს ჯარებს აეკრძალათ ადამიანის ორგანიზმზე ამ ნივთიერების უარყოფითი ზემოქმედების გამო.

იმის მიუხედავად, რომ ქართულმა მთავრობამ თავისუფლება მისცა პრესას, ნება დართო 9 აპრილის მოვლენების ობიექტურ გამოძიებასა და 26 მაისის აღნიშვნას, გამსახურდია მაინც სკეპტიკურად იყო განწყობილი იმის მიმართ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია და მთავრობა ოდესმე შეძლებდნენ თანაარსებობას ბალტიისპირეთის მსგავსი ავტონომიის ფორმატში.

გამსახურდიამ განაცხადა, რომ ორი დისიდენტი, აკაკი ბაქრაძე და პარმენ მარგველაშვილი, აირჩიეს სსრკ-ს სახალხო დეპუტატთა კონგრესში. კითხვაზე, მონაწილეობას მიიღებდნენ თუ არა დამოუკიდებლობის მომხრე ძალები მომავალ არჩევნებში ადგილობრივ და რესპუბლიკის დონეებზე, გამსახურდიამ უპასუხა, რომ ეს ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას არ სურდა, რომ დამოუკიდებლობის მომხრე ჯგუფებს რამე საერთო ჰქონოდათ საბჭოთა ხელისუფლებასთან, საკუთარი კანდიდატების დასახელება მაინც ერთადერთ გზად ესახებოდა, რათა დაემარცხებინა საბჭოთა ძალები. გამსახურდია დარწმუნებული იყო, რომ სრულიად საქართველოს მოსახლეობა ხმას მისცემდა დამოუკიდებლობის მომხრე კანდიდატებს, თუკი სამართლიანი არჩევნები ჩატარდებოდა.